საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/641
17.06.2025

ბრძანება

641-01-4-202506171735

შპს „ონლაინ მოლის“ (ს/ნ: 404543561) 2025 წლის 27 მაისის N01/3213 საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17^1 მუხლის მე-4 პუნქტის, „საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ

1. განუხილველად იქნეს დატოვებული შპს „ონლაინ მოლის“ (ს/ნ: 404543561) 2025 წლის 27 მაისის N01/3213 საჩივარი.
2. საჩივრის განუხილველად დატოვება არ ართმევს პირს უფლებას, მომართოს საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს იმავე დავის საგანზე, იმავე საფუძვლით საკითხის შესწავლის მოთხოვნით.
3. წინამდებარე ბრძანება ეცნობოს მომჩივან მხარეს.
4. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წინამდებარე აქტის ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).
5. ბრძანება მისი მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

`

საფუძველი: საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს ეკონომიკური კონკურენციის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის 2025 წლის 17 ივნისის N03/799 მოხსენებითი ბარათი

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე